ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

დადგენილება №02

2018 წლის 18 იანვარი

ქ. ქობულეთი

ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საშტატო ნუსხისა და

თანამდებობრივი სარგოს დამტკიცების შესახებ

,,ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს კანონის მე-20, 25-ე მუხლისა და საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ.დ", ,,დ.ე" ქვეპუნქტების შესაბამისად ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ა დ გ ე ნ ს,**

მუხლი 1.

დამტკიცდეს ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საშტატო ნუსხა და თანამდებობრივი სარგო თანახმად დანართისა.

მუხლი 2.

დადგენილების ძალაში შესვლისთანავე ძალადაკარგულად გამოცხადდეს ,,ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოს დამტკიცების შესახებ" ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 22 დეკემბრის №25 დადგენილება.

მუხლი 3.

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე და გავრცელდეს 2018 წლის 1 იანვრიდან წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობებზე.

საკრებულოს თავმჯდომარე **დ.მჭედლიშვილი**

ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საშტატო ნუსხა და თანამდებობრივი სარგო

N	თანამდებობების დასახელება	თანამდებობრივი სარგო	საშტატო რიცხოვნობა
1	საკრებულოს თავმჯდომარე	3500	1
2	საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე	2200	1
3	საკრებულოს კომისიის თავმჯდომარე	1700	5
4	საკრებულოს ფრაქციის თავმჯდომარე	1700	5
5	საკრებულოს ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილე	1200	6
	სულ ჯამი	29900	18
	საკრებულოს აპარატი		
1	მუნიციპალიტეტის საკრებულოს I სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი (აპარატის უფროსი)	1500	1
2	მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის II სტრუქტურული ერთეულის II რანგის უფროსი საორგანიზაციო და საქმისწარმოების საკითხებში	1200	1
3	მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის II სტრუქტურული ერთეულის III რანგის II კატეგორიის უფროსი სპეციალისტი საორგანიზაციო საკითხებში	800	2
4	მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის II სტრუქტურული ერთეულის III რანგის II კატეგორიის უფროსი სპეციალისტი საქმისწარმოების საკითხებში	800	4
5	მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის III რანგის II კატეგორიის უფროსი სპეციალისტი იურიდიულ საკითხებში	800	1
6	მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის III რანგის II კატეგორიის უფროსი სპეციალისტი საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებში	800	1
7	მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის III რანგის II კატეგორიის უფროსი სპეციალისტი ადამიანური რესურსების მართვისა და საკადრო საკითხებში	800	1
	სულ	9900	11
	სულ ჯამი	39800	29